**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

24 ივნისი, 2026 წელი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-02/116

**ბსუ-ს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის **დოქტორანტ გიორგი აბაშიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/29 დადგენილების, „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №01-06/16 დადგენილება), „2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის №01-08/722 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 ივლისის №06-01/61 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/07, 17.06.2026) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 26 0000775489, 22.06.2026) საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **გიორგი აბაშიძის** სადისერტაციო ნაშრომის „თანამედროვე ციფრული ბიზნეს მოდელების დანერგვის შესაძლებლობები და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბსუ-ს პროფესორი ბადრი გეჩბაია) **საჯარო დაცვა დაინიშნოს 2026 წლის 09 ივლისს,** 14:00 საათზე, №423 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი №2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ბიზნესის ადმინისტრირების“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);
   2.2. ლეილა ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი (**მდივანი**);
   2.3. პაატა არუშიძე - ბსუ-ს პროფესორი;
   2.4. ლელა ონიანი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.5. დარეჯან ჩხუბაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.6. დავით ქათამაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.7. ნანული მახარაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
   2.8. ნატო ჯაბნიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. თამარ ღოღობერიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

**ბსუ-ს რექტორი** **ტიტე არაშიძე**